ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 5-12/31719-16 18 04 2013წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ს მიმდებარედ/ქუჩა I ხეივანი, №13-ში, (საკ.კოდი №01.18.05.003.111) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საზოგადოებრივი კვების ობიექტის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №602240 21.03.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ს მიმდებარედ/ქუჩა I ხეივანი, №13-ში, (საკ.კოდი №01.18.05.003.111) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-4“ ფასადზე: რელიეფი აწეულია ზევით. „3-4“ მონაკვეთში ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი „3-3“ ღერძისკენ 0.60მ-ით, შემცირებულია სიგანეში 0.15მ-ით და შეცვლილია ნახატი, ასევე მონაცვლებულია სარეკლამო აბრა.

„დ-ა^{11}“ ფასადზე: „დ-დ“ ღერძის მიმდებარედ „±0.00“-დან „+7.10“ ნიშნულამდე კედლის ნაწილი მოპირკეთებულია ტრავერტინის ფილებით. „ბ-ა“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფრამუგა და ორი ღიობი, რომელიც შევსებულია ცხაურით. ასევე დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ღიობები, აირგამწოვები და სავენტილაციო მილი. „ა-ა“ ღერძის გარეთ „±0.00“ ნიშნულზე კედელი შეღებილია განსხვავებულ ფერში. „გ-გ“ ღერძიდან მარცხნივ „+4.10“ ნიშნულზე სახურავი ნაცვლად ბრტყელისა მოწყობილია ქანობიანი, დაწეულია ქვევით, გასქელებულია და ასევე შეცვლილია მისი კონფიგურაცია. „დ-დ“ ღერძის მიმდებარედ „+4.10“ ნიშნულზე კედელი გასქელებულია, ხოლო „დ-ა“ მონაკვეთში შემცირებულია სავენტილაციო მილის სიგრძე. „+7.10“ ნიშნულზე შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე. „ა-ა“ ღერძიდან მარჯვნივ „+6.40“ ნიშნულის ზევით სახურავი გამოსულია შენობის კონტურიდან.

„ა^{11}-დ“ ფასადზე: „ა-ბ“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია სავენტილაციო მილი. შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე. დამატებით მოწყობილია ორი სავენტილაციო ღიობი და კონდენციონერები.

„4-1“ ფასადზე: „4-2“ მონაკვეთში შემცირებულია შენობის სიმაღლე 0.80მ-ით, გაუქმებულია პარაპეტი, ხოლო „3-2“ მონაკვეთში შემცირებულია შენობის სიმაღლე 0.50მ-ით. „4-4“ ღერძის მიმდებარედ შენობის შიგნით კიბე ნაცვლად კაპიტალურისა მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია ხის საფეხურებით. „3-2“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე გაზრდილია ფანჯრების სიმაღლე თითო 0.20მ-ით. ამავე მონაკვეთში „+4.10“ ნიშნულზე პროექტში არ ფიქსირდება კოლონის ხაზები და კედლის ფაქტურა არ ემთხვევა საპროექტოს.

ფასადებზე ნაცვლად მაღალხარისხოვანი ცემენტის ხსნარით შელესვისა შესრულებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით შეფრქვევის სამუშაოები.

„-4.00“ ნიშნულზე: „4-4“ ღერძიდან მარჯვნივ „გ-ბ“ ღერძებს შორის დონე აწეულია 0.25მ-ით, ხოლო „ბ-ა“ ღერძებს შორის კართან მოწყობილია საფეხური. „4-3“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ კიბე შემობრუნებულია და მის მიმდებარედ კუთხეში მოწყობილია დაბალი კედელი. „3-2“ მონაკვეთში „თ-ზ“ ღერძებს შორის შეცვლილია კაპიტალური კედლის კონფიგურაცია. „4-4“ და „ა-ა“ ღერძების გარეთ კაპიტალური კედელი შესაძლებელია.

„±0.00“ ნიშნულზე: „1-2“ მონაკვეთში „გ-დ“ ღერძებს შორის დამატებით მოწყობილია ლითონის მილკვადრატი. „4-3“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძიდან მარჯვნივ შიდა კიბის უჯრედთან დამატებით მოწყობილია შველერი.

შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია. „4-2“ მონაკვეთში „ი-ი“ ღერძის გარეთ სახურავზე დამატებით მოწყობილია ლითონის საკვამური.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს „რენტა+“-ს, დავით სპარსიაშვილს ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ს მიმდებარედ/ქუჩა I ხეივანი, №13-ში, (საკ.კოდი №01.18.05.003.111) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საზოგადოებრივი კვების ობიექტის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/31719-16 31.03.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

ქ. თბილისის მერია * TBILISI CITY HALL * 204521794